საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-548

12/07/2018

ქ. თბილისი

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 220 კვ ეგხ ,,ალავერდი''-ს (გაორჯაჭვიანება) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტში სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ 220 კვ ეგხ ,,ალავერდი''-ს (გაორჯაჭვიანება) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #16 ; 29.06.2018წ.
2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #16; 20.06.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ N6) მხარის მიერ მისის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი